საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-32

15/01/2020

ქ. თბილისი

ი/მ „რევაზ არსენიძის“ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. კლდის ტერიტორიაზე 3 900 ტ ტევადობის ნავთობპროდუქტების საწყობზე (საცავზე) გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2019 წლის 21 ნოემბერს სამინისტროს განცხადებით მომართა ი/მ „რევაზ არსენიძემ“ და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

1998 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ი/მ „რევაზ არსენიძის“ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. კლდის ტერიტორიაზე 3 900 ტ ტევადობის ნავთობპროდუქტების საწყობზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №81; 30.12.1998), თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2002 წლიდან აღნიშნული ტერიტორია გასხვისებულია და საწარმო აღარ ფუნქციონირებს, რაც დადასტურდა სსდ-გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საწარმოს ტერიტორიის შემოწმების შედეგად. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ი/მ „რევაზ არსენიძის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ი/მ „რევაზ არსენიძის“ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. კლდის ტერიტორიაზე 3 900 ტ ტევადობის ნავთობპროდუქტების საწყობზე (საცავზე) გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №81; 30.12.1998);
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ი/მ „რევაზ არსენიძეს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ „რევაზ არსენიძის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი